ანეკდოტური მტკიცებულებების კვლევა

2020

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

UNITED STATES OF AMERICA
U.S. EMBASSY TBILISI

ანეკდოტური მტკიცებულებების კვლევა

ავტორი:
სოფო გელავა

მკვლევრები:
მარიამ დანგაძე (ქუთაისი), ელმადდინ მამედოვი (მარნეული), თამარ ონიანი (ოზურგეთი), თამარ თოდუა (ზუგდიდი)

კითხვარი, მეთოდოლოგია:
თამარ კინწურაშვილი, სოფო გელავა

რედაქტორი: თამარ კინწურაშვილი

კვლევა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერილი პროექტის "ახალგაზრდების მედიაწიგნიერების ლაბორატორია პასუხისმგებლიანი მედია მოხმარებისთვის" ფარგლებში მომზადდა. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ს საელჩოს პოზიციას.

შესავალი

მედიის განვითარების ფონდი (MDF) უკვე მეორე კვლევას ატარებს, რომლის მიზანი იმის შესწავლაა, თუ რა გავლენას ახდენს დეზინფორმაცია და კონსპირაციები საზოგადოებრივ აღქმებზე და რომელი ანეკდოტური მტკიცებულებებია ყველაზე მეტად გავრცელებული საზოგადოებაში. ამასთანავე კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა საზოგადოების დამოკიდებულებები საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხისა და კორონავირუსის პანდემიისადმი, მათ შორის ვაქცინაციის საკითხებისადმი.

კვლევა ეყრდნობა **ანეკდოტური მტკიცებულების** მეთოდს, რომელიც მეტწილად არაფორმალური გზით შეგროვებულ, პირად გამოცდილებაზე დაფუძნებულ მონაცემებს იყენებს.[1] ანეკდოტურ მტკიცებულებებსა და **მეცნიერულ მტკიცებულებებს** შორის დიდი სხვაობაა. მეცნიერული მტკიცებულება ეფუძნება სისტემატურ დაკვირვებას, გაზომვას, ექსპერიმენტს და მისი გადამოწმება თუ დადასტურება მეცნიერული მეთოდების გამოყენებით ნებისმიერ პირს დამოუკიდებლად შეუძლია.

ანეკდოტური მტკიცებულება პერსონალურ გამოცდილებასა და იზოლირებულ მაგალითებზე დაფუძნებით ამტკიცებს, რომ ესა თუ ის მოვლენა/ისტორია სიმართლეა ან ტყუილი. რადგანაც ანეკდოტური მტკიცებულებების მთავარი საყრდენი პერსონალური გამოცდილებაა, მისი დამოუკიდებლად გადამოწმება, მეცნიერული მტკიცებულებებისგან განსხვავებით, შეუძლებელია.

როდესაც ადამიანს მტკიცედ სჯერა საკუთარი მოსაზრების, ის მხოლოდ იმ ინფორმაციას იმოწმებს, რომელიც მის რწმენებს ადასტურებს. ამას, ინფორმაციის მოძიების პროცესში "წინასწარ განწყობასაც" უწოდებენ.

ანეკდოტური მტკიცებულებები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველგან გვხვდება და მისი წყარო შესაძლოა, ნებისმიერი ადამიანი იყოს, ვისაც ვხვდებით: ოჯახის წევრი, მეზობელი, უბნის მაღაზიის მოლარე, სტილისტი, ტაქსის მძღოლი და სხვა.

[1] Daniel Reisberg, The Science of Perception and Memory: *A Pragmatic Guide for the Justice System,* 2014, Oxford University Press, p. 22 http://bit.ly/39KXnep

სარჩევი

მეთოდოლოგია 4

მთავარი მიგნებები 5

I. საერთო მონაცემები 7

1.1. ანეკდოტური მტკიცებულებები, რომლებიც რესპონდენტებს სანდოდ მიაჩნიათ.....7

1.2. ინფორმაცია, რომელსაც რესპონდენტები ყალბად მიიჩნევენ 8

II. მონაცემები თემატიკის მიხედვით.....10

2.1. ფიზიკური უსაფრთხოება.....10

2.2. ქვეყნის უსაფრთხოება.....17

2.3. ინდივიდუალური უსაფრთხოება.....19

2.4. სოციალურ-ეკონომიკური დაცულობა.....22

მეთოდოლოგია

საკვლევი საკითხები. ღია შეკითხვების გარდა, რომელიც გავრცელებული ყალბი ცნობების იდენტიფიცირებას შეეხებოდა, რესპონდენტებს სტრუქტურირებული კითხვები 4 მიმართულებით დავუსვით. ესენია: **1. ფიზიკური უსაფრთხოება; 2. ქვეყნის უსაფრთხოება; 3. ინდივიდუალური უსაფრთხოება; 4. სოციალურ-ეკონომიკური დაცულობა.**

ცხრილი 1. კითხვების თემატიკა

ფიზიკური უსაფრთხოება	ქვეყნის უსაფრთხოება	ინდივიდუალური უსაფრთხოება	სოციალურ-ეკონომიკური დაცულობა
1.ბიოდივერსია/ვირუსები/ვაქცინები	1.რომელი ქვეყანა უქმნის საფრთხეს საქართველოს?	1.ვინ გვავალდებულებს მიგრანტების მიღებას?	1.საბჭოთა კავშირში უფრო დაცული იყო ადამიანი თუ დღეს?
2.ომის შიში	2. რას ითვალისწინებს ყარსის ხელშეკრულება?	2. რას გვავალდებულებს დასავლეთი?	2. ევროპული ბაზარი უფრო სარფიანია თუ რუსული?

კვლევის ფარგლებში სულ 79 რესპონდენტი, პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, საქართველოს 4 რეგიონში აგვისტოში გამოიკითხა.

ცხრილი 2. რესპონდენტების რაოდენობა ქალაქების მიხედვით

ქალაქები	#
ქუთაისი	20
ზუგდიდი	19
ოზურგეთი	20
მარნეული	20
სულ	**79**

გამოკითხვა 3 ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. ესენია: 18-35, 36-55, 55+. სამივე ასაკობრივი ჯგუფიდან შერჩეული იყო როგორც დასაქმებული (კერძო და საჯარო სექტორი), ასევე დაუსაქმებელი რესპონდენტები.

მთავარი მიგნებები

კვლევის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციებიდან ნაწილი საერთოა რეგიონულ ჭრილში. ყარსის ხელშეკრულების შესახებ კონსპირაციები, საბჭოთა კავშირში სოციალური და ფიზიკური უსაფრთხოების შესახებ დამოკიდებულებები, საქართველოს მიმართ რუსეთის ისტორიული ინტერესისა და მედია მოხმარების შესახებ მსგავსი სურათი როგორც ამ კვლევის, ასევე წინა კვლევის (თელავი, ყვარელი, ხულო, ბათუმი, ახალქალაქი, ახალციხე, გორი, წეროვანი) შედეგებში გამოიკვეთა.

I.ფიზიკური უსაფრთხოება. ყველაზე მოწყვლადი რესპონდენტები ვირუსებთან და ეპიდემიებთან დაკავშირებული კონსპირაციების მიმართ აღმოჩნდნენ, რა დროსაც მათ 5 ანეკდოტური მტკიცებულება დაასახელეს:

- ვირუსები ლაბორატორიებში გამოჰყავთ;
- ვაქცინები ჯანმრთელობისთვის საშიშია და ბევრი გვერდითი ეფექტი აქვს;
- კორონავირუსი ხელოვნურად შექმნილი ვირუსია/ბიოლოგიური იარაღია;
- კორონავირუსი არ არსებობს/გაზვიადებულია/ჩვეულებრივი გრიპია;
- ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობა საეჭვოა; მას გარე აქტორები მართავენ.

შეცვლილია განწყობები ლუგარის ლაბორატორიის მიმართ, რაც კორონავირუსის პანდემიის პირობებში ლაბორატორიის როლითა და გაზრდილი ცნობადობით შეიძლება აიხსნას. იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც ლუგარის ლაბორატორიას საეჭვოდ აფასებდა მხოლოდ 6 (7.5%) იყო.

II. ტერიტორიული უსაფრთხოება *(ყარსის ხელშეკრულება).* კონსპირაციის, რომ ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის, რის შედეგადაც საქართველო აჭარას დაკარგავს, გამოკითხულთაგან 17 ადამიანს (18.9%) მიაჩნდა სარწმუნოდ. წინა კვლევის მსგავსად, ეს მტკიცებულება სარწმუნო როგორც საჯარო სამსახურის წარმომადგენლისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის აღმოჩნდა.

III. ინდივიდუალური უსაფრთხოება

- ***ასიმილაციის საფრთხე.*** შედარებით ნაკლები რესპონდენტებისთვის (7 - 8,8%) იყო დამაჯერებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროკავშირი/დასავლეთი მიგრანტების მიღებას გვავალდებულებს.
- ***იდენტობის დაკარგვის საფრთხე.*** ასევე მცირე იყო (3) იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც თვლის, რომ დასავლეთი საქართველოსგან ერთნაირსქესიანთა ქორწინებას და ფასეულობების შეცვლას ითხოვს.

IV. სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება

საბჭოთა კავშირი vs. თავისუფლება. შეკითხვაზე - საბჭოთა კავშირში უფრო დაცული იყო ადამიანი თუ დღეს? - წინა კვლევის მსგავსად, რესპონდენტთა პასუხები გარკვეულ შემთხვევებში სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკიდან სამოქალაქო უფლებებისა და უსაფრთხოების საკითხების განხილვაში გადაიზარდა. რესპონდენტთა ნაწილის აზრით:

1. სსრკ-ში კანონი კანონობდა, დღეს კი ზედმეტი თავისუფლებაა;
2. სსრკ-ში ქვეყანა უსაფრთხოდ იყო, ომები არ იყო;
3. სსრკ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო დაცული იყო.

რუსული ბაზარი vs. ევროპული. ევროპულ ბაზარს რუსულთან შედარებით სკეპტიკურად, წინა კვლევის მსგავსად, 2 მიზეზის გამო ეკიდებოდნენ:

1. ევროპა და ამერიკა შორსაა, რუსული ბაზარი ახლოა და ნაცნობია;
2. რუსული ბაზარი უფრო მარტივია.

გზავნილები, რომლებიც რესპონდენტებმა ყველაზე ნაკლებდამაჯერებლად მიიჩნიეს

ყველაზე ნაკლებდამაჯერებლად რესპონდენტებმა ქვეყნის და ინდივიდუალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფართოდ გავრცელებული მითები მიიჩნიეს. წინა კვლევის მსგავსად, ისინი საკუთარ მოსაზრებას შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებდნენ:

- რუსეთს მუდამ ჰქონდა ისტორიული/გეოპოლიტიკური ინტერესი საქართველოს მიმართ, მანამ, ვიდრე ნატო შეიქმნებოდა;
- რუსეთს აფრთხობს ის შესაძლებლობა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება/საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზა რუსეთის ოკუპაციის შემაკავებელი ფაქტორი იქნება;

მედია მოხმარების ჩვევები

- მართალია, რესპონდენტთა უმეტესობამ (31) კონკრეტული ყალბი ინფორმაცია ვერ გაიხსენა, თუმცა აღნიშნა, რომ ასეთი მცდარი ამბების სმენია.
- რესპონდენტთა უმეტესობა განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ კორონავირუსის გარშემო ემოციურ, გაზვიადებულ და ურთიერთსაპირისპირო გაშუქებას.
- წინა კვლევის მსგავსად, ახალგაზრდა რესპონდენტთა უმეტესობამ ყალბი ინფორმაციის წყაროდ სოციალური ქსელი დაასახელა და ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში საკუთარ წილ პასუხისმგებლობაზე გაამახვილა ყურადღება. უფროს ასაკობრივ ჯგუფებში კი, მეტწილად, ტრადიციული მედიიდან მიღებულ ინფორმაციაზე საუბრობდნენ.
- 13-მა რესპონდენტმა გაიხსენა, რომ ინფორმაციის ნაკლებობის თუ ემოციური აღელვების ფონზე, ყალბი ინფორმაცია თავადაც გაუზიარებია. აქედან 10-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირების შემდეგ, პოსტი წაუშლია, ხოლო სამმა განმარტა, რომ პოსტის წაშლის შემდეგ სხვა მომხმარებლებსაც აუხსნა, რომ, უნებლიედ, ყალბი ინფორმაცია გაავრცელა.
- 15-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ინფორმაციას მხოლოდ გადამოწმების, გაფილტვრისა და პირველწყაროს გაცნობის შემდეგ აზიარებს.

I. საერთო მონაცემები

1.1. ანეკდოტური მტკიცებულებები, რომლებიც რესპონდენტებს სანდოდ მიაჩნიათ

კვლევის ოთხ ძირითად თემაზე საუბრისას, როგორიცაა: 1. ფიზიკური უსაფრთხოება; 2. ქვეყნის უსაფრთხოება; 3. ასიმილაციის საფრთხე; 4. სოციალურ-ეკონომიკური დაცულობა, რესპონდენტებმა დაასახელეს სხვადასხვა კონსპირაცია, რომელიც მათ სარწმუნოდ მიაჩნიათ და რომლებიც მტკიცებულებების არარსებობის გამო, ანეკდოტურ მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც ანეკდოტურ მტკიცებულებებს ავრცელებდა, დიდი არ იყო. ყველაზე მეტი ანეკდოტური მტკიცებულება რესპონდენტებმა ჯანდაცვის თემაზე დაასახელეს.

- ყველაზე დამაჯერებელი რესპონდენტთა ნაწილისთვის 63 (70%) ჯანმრთელობასთან, კონკრეტულად კი ვირუსებთან და ვაქცინებთან დაკავშირებული კონსპირაციები აღმოჩნდა. რესპონდენტთა ნაწილი თვლიდა, რომ ვირუსები ლაბორატორიებში გამოჰყავთ, ხოლო ვაქცინები ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია.
- მათი რაოდენობა, ვინც თვლის, რომ ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის, რის შედეგადაც საქართველო აჭარას დაკარგავს, გამოკითხულთაგან 17 ადამიანი (18.9%) იყო.
- 7-მა რესპონდენტმა (7.8%) დამაჯერებლად მიიჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროკავშირი/დასავლეთი მიგრანტების მიღებას გვავალდებულებს.
- რესპონდენტთა რაოდენობა (3.3%), ვინც თვლის, რომ დასავლეთი ლგბტ თემის მიმღებლობასა და ერთნაირსქესიანთა ქორწინებას გვავალდებულებს მხოლოდ 3 ადამიანი იყო.

დიაგრამა 1. რესპონდენტების მიერ დასახელებული ანეკდოტური მტკიცებულებები



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე დეტალურად ჩანს ის ანეკდოტური მტკიცებულებები, რომლებიც რესპონდენტებმა ინტერვიუს დროს დაასახელეს. კორონავირუსზე საუბრისას კი ორი მოსაზრება გამოიკვეთა:

1. კორონავირუსი არ არსებობს, გაზვიადებულია
2. კორონავურუსი ბიოლოგიური იარაღია.

დიაგრამა 2. **რესპონდენტების მიერ დასახელებული ანეკდოტური მტკიცებულებები ასაკობრივი ჯგუფების და თემატიკის მიხედვით**



1.2. ინფორმაცია, რომელსაც რესპონდენტები ყალბად მიიჩნევენ

გარდა რესპონდენტების მიერ სხვადასხვა თემებზე დასახელებული კონსპირაციებისა, რომელთაც ისინი სანდოდ მიიჩნევდნენ, მათ ვთხოვეთ თავად დაესახელებინათ საჯარო სივრცეში გავრცელებული სხვადასხვა ყალბი ცნობები.

რესპონდენტთა უმეტესობამ (31) კონკრეტული ყალბი ინფორმაცია ვერ გაიხსენა, თუმცა აღნიშნა, რომ ბევრი ყალბი ამბავი სმენია. 11-მა რესპონდენტმა ყალბ ინფორმაციად კორონავირუსით ინფიცირებულთა/გარდაცვლილთა სტატისტიკა და კორონავირუსის მეორე ფაზა დაასახელა. ისინი

ფიქრობდნენ, რომ რიცხვები გაზვიადებული იყო. დანარჩენმა რესპონდენტებმა ჯამში 33 ყალბი ინფორმაცია გაიხსენეს. აქედან 25 ჯანმრთელობას, კერძოდ კი კორონავირუსს, ცრუ მკურნალობებსა და ვაქცინებს ეხებოდა, 2 საგარეო პოლიტიკას, დანარჩენი კი სხვადასხვა თემაზე გავრცელებული ყალბი ინფორმაცია იყო.

თემატიკა	**დასახელებული ყალბი ინფორმაცია**
კორონავირუსი	• BCG-ს ვაქცინა კორონავირუსისგან გვიცავს; • კორონავირუსი იმპოტენციას იწვევს; • კორონავირუსი არ არსებობს; • კორონავირუსი ხელოვნურია/ბიოლოგიური იარაღია/განზრახ არის გავრცელებული; • კორონავირუსი ლუგარის ლაბორატორიაში შეიქმნა; • თერმოსკრინინგი საშიშია; • ევროპაში ცარიელ კუბოებს მარხავდნენ
ცრუ მკურნალობა	• კორონავირუსს არაყი კურნავს; • კორონავირუსს ნიორი კურნავს;
ვაქცინები	• ვაქცინას ადამიანებს იძულებით გაუკეთებენ; • ვაქცინის მიზანი მოსახლეობის შემცირებაა; • ვაქცინებით ადამიანებს ჩიპავენ.
სახელმწიფოს რეაგირება	• არჩევნების წინ ინფიცირებულთა რიცხვს ხელოვნურად ზრდიან; • მთავრობა გარდაცვალების მიზეზად კორონავირუსის მითითების სანაცვლოდ თანხას იხდის; • ხელისუფლება განქორწინებულებს 200 ლარით დაეხმარება.
რუსეთი	• 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო • რუსეთი ერთმორწმუნეა.
სხვადასხვა	• ცნობილი მუსიკოსების ყალბი კონცერტები; • ვანგას წინასწარმეტყველებები; • ჩრ. კორეა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ყალბი ინფორმაცია სხვადასხვა მიზნით ვრცელდება. მათი თქმით, მიზანი, შესაძლოა, გვერდის, მედია-საშუალების პოპულარიზაცია, რეიტინგის გაზრდა, შემოსავლის მიღება, დაშინება და პოლარიზაცია იყოს. ერთმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელება რუსეთის ინტერესში შედის.

II. მონაცემები თემატიკის მიხედვით

2.1. ფიზიკური უსაფრთხოება

ყველაზე მოწყვლადები რესპონდენტები ვირუსებითა და ეპიდემიებით გამოწვეული ფიზიკური საფრთხის შიშების მიმართ აღმოჩნდნენ. ეს საკითხები მეტწილად უკავშირდებოდა კორონავირუსის პანდემიას, ვირუსების წარმომავლობასა და ვაქცინებს. რესპონდენტთა უმეტესობას კორონავირუსის შესახებ ინფორმაცია მედიიდან ჰქონდა და, როგორც წესი, ასახელებდნენ სიმპტომებს, ვირუსისგან თავდაცვის რეკომენდაციებსა და ჩინეთს, როგორც კორონავირუსის წარმოშობის ადგილს. თუმცა, რესპონდენტთა ნაწილი ამბობდა, რომ კორონავირუსის შესახებ ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდებოდა, რაც საზოგადოებაში მეტ დაბნეულობას და შიშს იწვევდა. ვირუსის არსებობის შესახებ სკეპტიციზმი 79 რესპონდენტიდან მხოლოდ 7-მა გამოხატა, აქედან ნაწილი ფიქრობდა, რომ საკითხი გაზვიადებული იყო. მათი რაოდენობა, ვინც თვლიდა, რომ კორონავირუსი არ არსებობდა ან პოლიტიკურ თამაშად განიხილავდა, მეტწილად მარნეულში გამოვლინდა (5).

დიაგრამა 3. **რა იცით კორონავირუსის შესახებ?**



მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმეტესობა კორონავირუსის საფრთხეების შესახებ ინფორმაციას ფლობდა, თავდაცვის მიზნით კორონავირუსის ვაქცინის გაკეთებას მაინც სკეპტიკურად უყურებდა. 79-დან 36 რესპონდენტი ამბობდა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხრიდან შესაბამისი ავტორიზაციის მქონე ვაქცინას საკუთარი და სხვების ჯანმრთელობის დასაცავად გაიკეთებდა, 6-მა რესპონდენტმა კი სიფრთხილე გამოიჩინა და აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის შექმნილი ვაქცინა ახალი იქნებოდა და ვაქცინის გაკეთების გადაწყვეტილებას მხოლოდ კარგად დაფიქრების შემდეგ მიიღებდა.

კორონავირუსის ვაქცინის გაკეთებაზე უარი 37-მა რესპონდენტმა თქვა. უმეტესობამ საკუთარი არჩევანი ანეკდოტური მტკიცებულებებითა და კონსპირაციებით ახსნა, ნაწილმა რელიგიური და ფინანსური ფაქტორი, ასევე ნემსის ფობიაც დაასახელა. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ვაქცინაზე უარის თქმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უწევს.

• ვაქცინით ორგანიზმში სხვა ვირუსების შეყვანა სურთ • ვაქცინა სანდო არ არის/საშიშია • ვაქცინა ორგანიზმისთვის შხამია და ანგრევს ჯანმრთელობას • კორონავირუსის ვაქცინაზე ბევრი ქორი დადის • კორონავირუსი არ არსებობს • არავინ იცის, ვაქცინა უშველის თუ არა კორონავირუსს • ჯანმრთელი ვარ და ვაქცინა არ მჭირდება • კორონავირუსი ყველამ უნდა გადაიტანოს, ამიტომ ვაქცინა საჭირო არ არის	• ვაქცინის გაკეთება ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება • კორონავირუსის ვაქცინა ძვირი იქნება • ნემსის შიში მაქვს • ჩვეულებრივი გრიპია და ვაქცინა საჭირო არ არის • ვაქცინით ორგანიზმში ჩიპებს დგამენ • არავინ იცის, რისგან შედგება ვაქცინა • ვაქცინებს ეფექტი არ აქვს • არ მქონია კორონავირუსი და ამიტომ, არ მჭირდება • ალერგიული ვარ და ვერ გავიკეთებ

ქრისტიანობის მოტივით ვაქცინაციაზე უარის თქმის დროს რწმენასთან ერთად მოძღვრის ფაქტორიც დასახელდა:

> **თვითდასაქმებული, ქუთაისი (33 წლის, ქალი)**: "არავითარ შემთხვევაში, ქრისტიანული თვალსაზრისით ვუყურებ, რაღაცა ბევრი არგუმენტი შემიძლია მოვიყვანო, ვერაფრით ვერ გავიკეთებ, არც ჩემს ოჯახის წევრებს... ანუ რაც მამაოდან ვიცი, რომ მისწავლია, ეკლესიაში დავდივარ, ბიბლიაში წამიკითხავს, მაინც ჩემი ხედვა მაქვს."

კვლევის ფარგლებში შეკითხვა ზოგადად ვაქცინის ეფექტიანობასაც ეხებოდა, სადაც უმეტესობამ (43) აღნიშნა, რომ შესაძლო გვერდითი მოვლენებისა თუ ინდივიდუალური გამონაკლისების გარდა, ვაქცინა ადამიანებს სხვადასხვა ინფექციისგან იცავს. ამ შეკითხვაზე ცალსახა პასუხი არ ჰქონდა 22 რესპონდენტს.

> **კერძო სექტორში დასაქმებული, ზუგდიდი (31 წლის, ქალი):** "არ გავიკეთებ კორონავირუსის ვაქცინას, რადგან არ ვენდობი ვაქცინებს. არა მხოლოდ კორონავირუსის, არამედ ზოგადად ვაქცინებზე ვსაუბრობ. არ ვარ დარწმუნებული, რომ კორონავირუსის ვაქცინას გაკეთების შემდეგ უფრო უარესი რამე არ დამემართება და მაშინ ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ექნება კორონავირუსის გამო მოვხვდები საავადმყოფოში თუ სხვა რამის, მაგალითად კუნთების ატროფიის გამო."

დიაგრამა 4. დამოკიდებულება ვაქცინების მიმართ



შეკითხვაზე, თუ რა იწვევს ვირუსებს/ეპიდემიებს, 26-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ვირუსები ბუნებრივადაც ჩნდებიან და ლაბორატორიულადაც გამოჰყავთ. ეს პასუხი ცალსახად კონსპირაციულ შეფასებას არ მოიცავდა. რესპონდენტთა ნაწილი თვლიდა, რომ ლაბორატორიებში ვირუსებზე, ინფექციებსა და სხვადასხვა ბაქტერიაზე მუშაობა საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის აუცილებელია. 31-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ვირუსები ხელოვნურად, ლაბორატორიებში იქმნება. აქედან 4 თვლიდა, რომ კორონავირუსი ხელოვნურად იყო შექმნილი. ასევე 4 რესპონდენტი ვირუსების შექმნის უკან დიდი სახელმწიფოების ინტერესებს ხედავდა. მაგალითისთვის, ოზურგეთის საკრებულოს თანამშრომელმა განაცხადა, რომ ვირუსებს ლაბორატორიებში დიდი სახელმწიფოები პატარა ქვეყნების სამართავად ქმნიან. ოზურგეთელი მასწავლებელი არ გამორიცხავდა, რომ, შესაძლოა, ვირუსები საიდუმლო მიწისქვეშა ლაბორატორიებში გამოჰყავდეთ. კიდევ ერთი მასწავლებელი ქუთაისიდან ვირუსების უკან მასონების როლსაც არ გამორიცხავდა.

საკრებულოს თანამშრომელი, ოზურგეთი (29 წლის, ქალი):“რუსეთი, ამერიკა, იაპონია, ჩინეთი - დიდი ქვეყნები უფრო, სადაც მათ აქვთ, ძალა შესწევთ იმისა, რომ ეს მართონ და ესეც მმართველი პროცესია იმისა, რომ ეს პატარა ხალხი და პატარა ქვეყნები მართონ, და აი, ჩაგვკეტონ ან რაღაცა გაგვაკეთებინონ, ესე რომ ვთქვათ,. უფრო დიდი ქვეყნები არიან ამისი ინიციატორები.”

მასწავლებელი, ოზურგეთი (32 წლის, ქალი): “მე მაინც ხელოვნური მგონია. ვიცი, რომ არსებობს მითები მიწისქვეშ არსებული ლაბორატორიების შესახებ, თუმცა მათი არსებობა არ მინდა დავიჯერო, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის შემდეგ იქნა მიწისქვეშა გათხრებისას აღმოჩენილი თითქოს ლაბორატორიის ნაშთები. არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ლაბორატორიები არსებობს ადამიანის ჯანმრთელობის საზიანოდ, მინდა მჯეროდეს, რომ ეს ვირუსები იქმნება მხოლოდ იმისთვის, რომ სხვა ვირუსებს ებრძოლონ. უკონტროლობის შემდეგ კი შესაძლებელია ეს ხელოვნური ვირუსები ჩვენს წინააღმდეგ მოგვევლინოს.”

მასწავლებელი, ქუთაისი (24 წლის, ქალი): “ჩემი აზრით, ვირუსს გააჩნია, უმეტესობა ალბათ ბუნებრივი გზით ვითარდება, მაგრამ თუ გვაქვს საქმე მასონების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებასთან, ის შეიძლება, რომ ხელოვნურადაც გამოიგონონ.”

დიაგრამა 5. რა იწვევს ვირუსებს?



წინააღმდეგობრივი იყო რესპონდენტთა დამოკიდებულება ვირუსების წარმოშობისა და ლუგარის ლაბორატორიის შესახებ. რესპონდენტთა უმრავლესობა (50) თვლიდა, რომ ლუგარის ლაბორატორიის როლი კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლასა და დიაგნოსტირებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. მათ შორის იყვნენ ის რესპონდენტებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ვირუსები ლაბორატორიებში ხელოვნურადაა შექმნილი.

> **კერძო კომპანიაში დასაქმებული, ოზურგეთი (34 წლის, ქალი)**: "მე მინახავს როგორ მუშაობენ ეგენი ველზე, როგორ დასდევენ ტკიპებს თუ ვირთხებს თუ რაღაცებს. რა თქმა უნდა, ჩემი თვალით არ მინახავს, მაგრამ სანდო წყაროსგან მოყოლილი, ანუ ადამიანი მინახავს, ვინც ამას აკეთებდა თავისი ხელით და იმას ვენდობი. მინახავს ადამიანი, რომელიც თვეში ერთხელ ჩამოდის აქ და ნახმარ წყლებს იღებს ოზურგეთიდან და მიაქვს რო აღმოაჩინოს მრავალსართულიან თუ რაღაცა შემკრები წყალიდან სადმე, რამე საშიში არ ფიქსირდებოდეს და არავის არ უხარია კანალიზაციის მილებში ჭყუმპალაობა სულ ტყუილად, თუ რაღაცა მნიშვნელოვანს არ აკეთებს."

12-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ იცოდა, 4-მა კი განაცხადა, რომ ლაბორატორიის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ოთხივე რესპონდენტი მარნეულიდან იყო. ლუგარის ლაბორატორიის მიმართ ეჭვები სულ 9 რესპონდენტმა გამოთქვა:

1. ლაბორატორიის საქმიანობა გასაიდუმლოებული ა/არ ვიცით შიგნით რა ხდება/საეჭვოა	**უმუშევარი, ქუთაისი (62 წლის, კაცი)**: "ლუგარის ლაბორატორია რაც მითხარით, ის კომუნისტებს ჰქონდათ შექმნილი და ეს იყო კომუნისტების დროს გაკეთებული ლაბორატორია და სხვათა შორის, ძალიან ძლიერი ლაბორატორიაა, მაგრამ შიგნით რა ხდება, მე არ ვიცი, კომპეტენტური არ ვარ მაგ ამბავში, ამ მაღაზიას რომ უყურებ ახლა, რომ ვარ აქ ვიტყვი, რომ აგერ ეს დევს, იქ სალფეთქები დევს, იმაზე ვერ ვიტყვი." **სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული, ქუთაისი (33 წლის, ქალი)**: "უფრო ხშირ შემთხვევაში ტყუილი მგონია რა [ლუგარის საქმიანობა], რაღაც მეტი ტყუილი დევს მანდ, არ მჯერა მაგის." **ბიბლიოთეკარი, ქუთაისი (32 წლის, ქალი)**: "ცოტა ერთეული პირების სარგებელს ვხედავ, რატომ მაინცდამაინც ლუგარი და რატომ არა რიგითი რომელიმე სხვა ქვეყნის?"
2. ინახება მავნე ნივთიერებები	**ხელოსანი, ზუგდიდი (57 წლის, კაცი):** "ბევრი რამის კეთება შეიძლება ქვეყნის სასიკეთოდ ამ ლაბორატორიაში. თუმცა მას საიდუმლო მხარეც აქვს. როგორც სოციალურ ქსელში გავრცელდა, ამ ლაბორატორიაში ინახება თუ ნარჩენებია შენახული, რომელზეც ამერიკა და რუსეთი ვერ თანხმდებიან ერთმანეთში."
3. გამოჰყავთ ვირუსები	**თვითდასაქმებული მეწარმე, ოზურგეთი (47 წლის, კაცი):** "ლუგარის ლაბორატორიაზე გითხარი წეღან, აი, ასეთ ლაბორატორიებში გამოჰყავთ ვირუსები… დაზუსტებით [ვიცი] რო ასეთ ლაბორატორიებში გამოჰყავთ ეს ნაღდია, ყველამ ვიცით."
4. გარე აქტორები მართავენ	**მასწავლებელი, მარნეული (26 წლის, კაცი):** "ეს ლაბორატორია თვითონ არაა თავისუფალი. ეს ლაბორატორია იღებს ბრძანებებს რომელიმე უწყებებიდან, ისე ფუქციონირებს." **ხილ-ბოსტნის გამყიდველი, მარნეული (60 წლის, კაცი):** "ამბობენ, რომ ამერიკელებს აქ ლაბორატორია აქვთ გახსნილი. "იმენნა" მე მაგას ვერ ვიტყვი რისი ლაბორატორიაა. ამბობენ ადამიანებზე... რა ვიცი ეგრე...ადამიანია, „ლიუბოი ლოვუშკაში" შეიძლება მოხვდეს."

შედარებით ნაკლებ მოწყვლადები აღმოჩნდნენ რესპონდენტები ომის საფრთხის მიმართ. კითხვაზე - ნატოს ხშირი ძახილით ვახდენთ თუ არა რუსეთის პროვოცირებას - 22-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ნატოს ძახილით ომი არ იწყება და რომ რუსეთს რეგიონში თავისი ინტერესები აქვს. ამ რესპონდენტებიდან ნაწილმა საქართველოს მიმართ რუსეთის ისტორიული ინტერესებიც გაიხსენა, მაშინ, როდესაც ნატო საერთოდ არ არსებობდა. 79 რესპონდენტიდან 14-მა განაცხადა, რომ საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია რუსეთს მართლაც აღიზიანებს, თუმცა ქვეყანამ ნატოში გაწევრიანებაზე უარი არ უნდა თქვას და სწრაფვა განაგრძოს. 8 რესპონდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ნატოსა და რუსეთის ღირებულებები/ინტერესები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. 17 რესპონდენტი ფიქრობდა, რომ ნატოში ინტეგრირება რუსეთის პროვოცირების ტოლფასია; ხოლო 2-მა რესპონდენტმა თქვა, რომ საქართველოს ნატო არ სჭირდება, 1-მა კი აღნიშნა, რომ სურვილის მიუხედავად, საქართველოს ნატოში მაინც არ იღებენ. 15 რესპონდენტს კი აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. ყველაზე მაღალი მონაცემები ვინც ფიქრობდა, რომ ნატო რუსეთის პროვოცირებას ნიშნავს, მარნეულში (7) და ქუთაისში (5) დაფიქსირდა.

დიაგრამა 6. ნატოს ხშირი ძახილით ვახდენთ თუ არა რუსეთის პროვოცირებას?



ის რესპონდენტები, რომლებიც თვლიან, რომ ნატოს ძახილით რუსეთის პროვოცირება აბსურდია, თავის მოსაზრებას შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებდნენ:

1. რუსეთი საქართველოს მანამდე იპყრობდა, ვიდრე ნატო შეიქმნებოდა;
2. რუსეთს საქართველოს სახით გავლენის სფეროს დაკარგვა არ სურს;
3. რუსეთს აფრთხობს ის, რომ ნატოს წევრობის შემთხვევაში, ოკუპაციის ხაზების გადმოწევას ვერ შეძლებს

1.რუსეთი საქართველოს მანამდე იპყრობდა, ვიდრე ნატო შეიქმნებოდა	**უმუშევარი, ქუთაისი (48 წლის, კაცი)**: “1918 და 1921 წელს არავის არ მიეკუთვნებოდა [საქართველო], მაგრამ მაინც შემოვიდნენ და დაგვიპყრეს ხო, არანაირ შემთხვევაში მაგი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ევროკავშირს მივემხრობით და ამიტომ შემოვიდა რუსეთი, ტყუილია მაგი, რუსეთს აქვს თავისი იმპერიული სულისკვეთება ყოველთვის და ყოველთვის ექნება კიდევ.” **საკრებულოს წევრი, მარნეული (40 წლის, კაცი)**: “1921 წელს ნატო არ არსებობდა, მაგრამ რუსეთი მაინც მოვიდა და წაგვართვა ჩვენი თავისუფლება.”

	სტუდენტი, ქუთაისი (20 წლის, ქალი): "ოთხი საუკუნე არის, რაც რუსეთს ჩვენთან მჭიდროდ აქვს პრობლემები, მაგრამ რამე მიზეზი ამის ობიექტური, არ მახსენდება, ამიტომ მოდი, ნაბიჯი არ გადავდგათ ასე იმიტომ, რომ რუსეთს გავაღიზიანებთ, მოდი, ქუდები დავიხუროთ იმიტომ, რომ რუსეთს გავაღიზიანებთ, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო."
2. რუსეთს საქართველოს სახით გავლენის სფეროს დაკარგვა არ სურს	**სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელი, მარნეული (24 წლის, კაცი):** "რუსეთს არ აწყობს რომ საქართველო დაუახლოვდეს ნატოს, ევროკავშირს. ეს აღიზიანებს რუსეთს და ამის გამო რუსეთი თვითონ უქმნის პროვოკაციას. მაგალითად, საქართველოს წინააღმდეგ 2008-ში მოხდა და ასევე 2014-ში უკრაინის წინააღმდეგ. ანუ არ უნდა, რომ მის სამეზობლოში, ზოგადად სხვა ქვეყნებმა ინტეგრაცია მოახდინონ ნატოში." **ექთანი, ოზურგეთი (63 წლის, ქალი): "**აღიზიანებს რუსეთს ის, რომ ბრჭყალებიდან არ უნდა გაუშვას მისი მოკავშირეები ვინც ჰყავდა შეკოწიწებული იმ საბჭოთა კავშირის დროს და უნდა ისევ ქვეშემრდომებად ჰყავდეს და უნდა ისევ მის ირგვლივ ტრიალებდნენ." **მეწარმე, ოზურგეთი (31 წლის, ქალი): "**მისი [რუსეთის] ნაწილი ვიყავით რაღაც დროში და როგორც არ უნდა ახლა ბელორუსიის და სხვა მისი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების გაშვება, ისე არ უნდა ჩვენი გაშვებაც და ალბათ არც ის აწყობს რომ ამერიკის ბაზები იყოს ახლოს მის საზღვრებთან."
3. რუსეთს აფრთხობს ის, რომ ნატოს წევრობის შემთხვევაში, ოკუპაციის ხაზების გადმოწევას ვერ შეძლებს/ აფრთხობს ძლიერი მეზობელი	**მასწავლებელი, ზუგდიდი (60 წლის, ქალი)**: "რუსეთი ოკუპანტია და მიტაცებული აქვს ჩვენი ტერიტორიები, დროთა განმავლობაში კი საზღვრებსაც წევს ჩვენსკენ. ამგვარად მას არ აწყობს ჩვენს გვერდით ძლიერი მხარდამჭერის დგომა." **სოფლის მეურნეობაში დასაქმებული, ოზურგეთი (65 წლის, ქალი):** "ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობა საქართველოსთვის მფარველობაა. მათი მხედველობის ქვეშ როცა იქნება, მაინც დაცული იქნება საქართელო." **კერძო სექტორში დასაქმებული, ზუგდიდი (31 წლის, ქალი):** "რუსეთის იმპერია ხომ მონობაზეა დამყარებული, მას განვითარება არც თვითონ არ სჭირდება და არც განვითარებული არ სჭირდება თავის ირგვლივ, ამიტომ მას შეიძლება ეს შეძახილი მართლაც აღიზიანებს. მაგრამ იმედია, ჩვენ მაინც გავაგრძელებთ გზას ნატოსკენ."

მცირე ნაწილი, რომელიც მიიჩნევდა, რომ საქართველო რუსეთის პროვოცირებას ახდენს, შემდეგ არგუმენტებს ასახელებდა:

1. ნატოს ძახილით რუსეთის პროვოცირებას ვახდენთ;
2. ისტორიულად რუსეთმა გადაგვარჩინა;
3. არც რუსეთი გვჭირდება, არც - დასავლეთი.

1.ნატოს ძახილით რუსეთის პროვოცირებას ვახდენთ	**უმუშევარი, ქუთაისი (62 წლის, კაცი)**: "ნატო, ნატო ვაღიზიანებთ რუსეთს. რუსეთი ცდილობს არასოდეს არ გაგვიშვას ნატოში, მაგრამ ნათქვამი რომაა ქართველებში, შორეულ ნათესავს ახლო მეზობელი ჯობიაო, ისეა ეგ საქმეც. კი, ნატო კარგია, მაგრამ არ გვინდა ახლა ჩვენ ეს რუსეთი გავიფუჭოთ." **ხელოსანი, ოზურგეთი (36 წლის, კაცი): "**ჯერე ვაბშე არ უნდა ვიძახოდეთ ნატოს. ამდენი ხანია ვიძახით და არ გვიწევრიანებს არცერთი ქვეყანა. იმიზა რომე, **რუსეთი სანამ არ იტყვის, მანამდე ვერ შევალთ ნატოში, რუსეთზეა დამოკიდებული**."
2. ისტორიულად რუსეთმა გადაგვარჩინა	**მასწავლებელი, ქუთაისი (59 წლის, ქალი):** "მე, ჩემო კარგო, რუსეთზე ცუდს რომ ამბობენ, ვერ ვიჯერებ, რადგანაც ისე გავიზარდე, რომ სულ მჯეროდა, რომ ჩვენი უფროსი ძმა იყო, მაგის გარეშე ვერ ვიქნებოდით, მაგან დაგვიცო, გადაგვარჩინა." **რესტორნის მეპატრონე, მარნეული (50 წლის, კაცი):** "საქართველო დაარსა რუსეთმა. რუსეთმა, რომ დააფუძნოს სახელმწიფო და მას უნდოდეს ნატოში გაწევრიანება, იმას არ გააღიზიანებს?"
3. არც რუსეთი გვჭირდება, არც - დასავლეთი	**კერძო სექტორში დასაქმებული, ქუთაისი (31 წლის, კაცი): "**საქართველო ოდითგანვე იყო დამოუკიდებელი ქვეყანა და ბრწყინავდა ყოველთვის ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, თამარ მეფის დროსაც და იყო ყოველთვის. არ გვჭირდება ჩვენ არც ის ნატო, არც ის რუსეთი, ქართველი ხალხი ვართ და უნდა დავდგეთ ერთმანეთის გვერდში, სანამ სიყვარული იქნება საქართველოში, მანამდე იქნება საქართველო გაბრწყინებული და ერთიანი." **მეწარმე, ოზურგეთი (47 წლის, კაცი)**: "საქართველოსთვის დიდი განსხვავება არ იქნება რუსული წარწერა წაიშლება და ინგლისური დაიწერება."

მსგავსი სურათი გამოიკვეთა შეკითხვაზეც, მიაჩნდათ თუ არა რესპონდენტებს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების პოტენციური სამხედრო ბაზა მშვიდობის/სტაბილურობის გარანტად. რესპონდენტების უმრავლესობამ (34) აღნიშნა, რომ აშშ-ის ბაზა საქართველოში ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი იქნება, ხოლო 20-მა რესპონდენტმა ბაზა საფრთხეებთან გააიგივა. 11 რესპონდენტს ცალსახა პასუხი არ ჰქონდა და ამბობდა, რომ ბაზა შესაძლოა როგორც მშვიდობის გარანტი, ასევე გარკვეული საფრთხეების მატარებელი იყოს. ისინი, ვინც ბაზას საფრთხედ აღიქვამდა, კვლავ რუსეთის გაღიზიანების თემას უბრუნდებოდა და ამბობდა, რომ საქართველოში აშშ-ის სამხედრო ბაზას რუსეთი არ დაუშვებდა. მხოლოდ ორმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ საქართველოში არც აშშ-ის, არც რუსეთის ბაზის ნახვა სურს. ერთმა რესპონდენტმა ლეხ და მარია კანჩინსკების დაღუპვაც გაიხსენა და განაცხადა, რომ რუსეთი იმდენად ძლიერია, მას ვერც აშშ-ის ბაზა შეაკავებს.

ისინი, ვინც თვლიდნენ, რომ აშშ-ის ბაზა ქვეყანაში სტაბილურობას და მშვიდობას მოიტანს, აცხადებდა, რომ აშშ რუსეთის შემდგომ ოკუპაციას შეაკავებს.

> **მასწავლებელი, მარნეული (28 წლის, კაცი):** "რადგან ამერიკა არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა, მე მგონია, რომ არანაირ საფრთხეს არ ქმნის, პირიქით, რადგან ჩვენი მეზობელი ქვეყანა რუსეთი არის ოკუპანტი, ამერიკის ბაზა დაგვიცავს."
>
> **თვითდასაქმებული, ზუგდიდი (37 წლის, ქალი)**: "ამერიკა თავის ხალხს და მოკავშირეს ყველა ტერიტორიაზე დაიცავს. სწორედ ამიტომ მგონია რომ ჩვენთვის ამერიკის ბაზა მშვიდობის გარანტიაა."

დიაგრამა 7: დამოკიდებულება საქართველოში აშშ-ის სამხედრო ბაზის მიმართ



2.2. ქვეყნის უსაფრთხოება

შეკითხვაზე - საქართველოს საზღვრებს ყველაზე მეტად რომელი ქვეყანა ერჩის? - რესპონდენტთა უმრავლესობამ (53) ცალსახად რუსეთი დაასახელა; ამასთანავე როგორც დიაგრამა 8-ზე ჩანს, რუსეთი საფრთხეების ჩამონათვალში ყველა სხვა მეზობელ ქვეყანასთან ერთადაც ფიგურირებს. 9 რესპონდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს საზღვრებს საფრთხეს ოთხივე მეზობელი (რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი) უქმნის. სამმა რესპონდენტმა რუსეთთან ერთად საქართველოს საზღვრებისთვის საფრთხედ აშშ-იც მიიჩნია. როგორც დიაგრამაზე ჩანს, ყველაზე მეტად საფრთხედ რუსეთს (18) მარნეულში ასახელებდნენ, ოთხივე მეზობელს კი - ქუთაისში (6).

დიაგრამა 8. რომელი ქვეყანა უქმნის საფრთხეს საქართველოს საზღვრებს?



რესპონდენტთა ნაწილი, ვინც რუსეთის გარდა საფრთხედ სომხეთს, თურქეთსა და აზერბაიჯანს ასახელებდა, ყურადღებას ისტორიულ ტრავმებზე, მათ შორის დავით-გარეჯის საკითხზე ამახვილებდა. სომხეთის შემთხვევაში რესპონდენტებმა, ერთი მხრივ, აფხაზეთის ომი, მეორე მხრივ, სამცხე-ჯავახეთში მეზობელი სომხეთის გავლენაზე ისაუბრეს. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა ერთმა რესპონდენტმა აჭარაში თურქეთის ეკონომიკურ ინტერესებზეც ისაუბრა.

> **მასწავლებელი, ზუგდიდი (38 წლის, ქალი):** "საკითხავია, გვაქვს თუ არა საზღვრები. უპირველეს ყოვლისა გვერჩის რუსეთი და ასევე პროვოცირებას ახდენს სხვა სახელმწიფოებისას. დავით გარეჯი და აჭარა არის უზარმაზარი ტკივილი და არ არის უსაფრთხო."
>
> **ხელოსანი, ქუთაისი (40 წლის, კაცი)**: "რუსეთი ისე არა, უფრო სომხეთი, აფხაზეთიდან მოყოლებული, რუსის ხელით. "
>
> **ისტორიკოსი, ქუთაისი (63 წლის, ქალი): "**დავით-გარეჯზე ძალიან გვედავებიან, ჩვენი არისო, თუნდაც სომხეთი, სომხეთი ხომ სულ ლამაზი, მეგობრული სიტყვებით სულ იტაცებს და იტაცებს. წლების წინ ვიყავი ერთ-ერთ კონფერენციაზე სომხეთში. იქ მათ სომხეთის რუკა აჩვენეს მეთორმეტე საუკუნის, როცა საქართველო იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, თითქმის საზღვარი თბილისთან იყო. ასე რომ მესხეთ-ჯავახეთს ყოველთვის გვედავება, თან იქაური დასახლება, ამასაც რუსული პოლიტიკის გამო, დღეს ვიმკით."
>
> **ხილ-ბოსტნის გამყიდველი, მარნეული (60 წლის, კაცი):** "სომხური ნაციონალიზმია, რომელიც ახალქალაქში საქართველოს ფაქტიურად მიწაა, ამბობს, რომ ჩვენია."
>
> **საჯარო მოხელე, ოზურგეთი (39 წლის, კაცი):** "რუსეთი და თურქეთიც არანაკლებად, სხვათა შორის. პირდაპირი გადმოწევით თუ არა, ათასი ეკონომიკური ბერკეტებით და რაღაცებით ნელ-ნელა შემოდის."

კვლევის ფარგლებში შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რამდენად მოწყვლადები არიან რესპონდენტები ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გავრცელებული კონსპირაციის მიმართ, რომელიც ამტკიცებს, რომ შეთანხმებას ვადა 2021 წელს გადის, რის შემდეგაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი აღარ იქნება და აჭარას თურქეთი დაიბრუნებს. ამ მიზნით მათ დავუსვით შეკითხვა, თუ რა სმენიათ ყარსის ხელშეკრულების თაობაზე. პასუხად, 37-მა განაცხადა, რომ ხელშეკრულების შესახებ არაფერი სმენია, ხოლო 17-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ხელშეკრულებას ვადა გადის, რაც თურქეთს საქართველოში ინტერვენციის და ტერიტორიების მითვისების უფლებას აძლევს. მხოლოდ 16 რესპონდენტი აღმოჩნდა ამ თემაზე ინფორმირებული. ყარსის ხელშეკრულების შესახებ სხვადასხვა ვერსიაც გავრცელდა, რაც რესპონდენტების არაინფორმირებულობაზე მიუთითებს - ორმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ყარსის ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის არის დადებული, რომელიც საქართველოში რუსულ ბაზების განთავსებას არეგულირებს, ერთმა რესპონდენტმა კი ჩათვალა, რომ ყარსის ხელშეკრულებით საქართველოსა და თურქეთს შორის გამარტივებული მიმოსვლა რეგულირდება. ერთმა რესპონდენტმა ასევ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებას ვადა უკვე გაუვიდა. როგორც დიაგრამა 9-ზე ჩანს, ვადის გასვლის შესახებ ყველაზე მეტად ზუგდიდსა (7) და ქუთაისში (5) სჯერათ.

დიაგრამა 9. რა გსმენიათ ყარსის ხელშეკრულების შესახებ?



აღსანიშნავია ისიც, რომ კონსპირაცია, რომ ყარსის ხელშეკრულებას 2020 წელს გადის ვადა, სარწმუნო როგორც საჯარო სამსახურში დასაქმებულისთვის, ასევე მასწავლებლებისთვისაც აღმოჩნდა.

> **მასწავლებელი, ზუგდიდი (38, ქალი):** "ხელშეკრულებაზე მსმენია, რომ შეიცავს ბევრ ორაზროვან პუნქტს და ჩემი აზრით, დაახლოებით გავს გეორგიევსკის ტრაქტატს."
>
> **მასწავლებელი, ქუთაისი (59 წლის, ქალი):** "ყარსის ხელშეკრულებით გადანაწილდა ხო რაღაცა, მაგ ყველაფერს საწყალ სტალინს აბრალებენ… არასწორად მოხდა მაგ ხელშეკრულებით ტერიტორიების გადანაწილება… თურქეთს რომ აჭარა უნდა ყოველთვის, ეს ფაქტია."
>
> **იუსტიციის სახლის თანამშრომელი, მარნეული (28 წლის, კაცი):** "2020-21 წლებში სრულდება ამ ხელშეკრულების ვადა... ახლა როგორ განახლდება და გაგრძელდება, მაგაზე დავები მიდის."

2.3. ინდივიდუალური უსაფრთხოება

რესპონდენტთა უმეტესობა (58) არ თვლის, რომ საქართველოს მიგრანტთა მიღების ვალდებულება აქვს და მხოლოდ 7 აცხადებს, რომ დასავლეთი ასეთ ვალდებულებას გვაკისრებს. ასევე, ოთხმა რესპონდენტმა (ქუთაისი - 3, ზუგდიდი - 1) ცალკე დაასახელა "თურქი-მესხების" მიღების ვალდებულება, რაშიც სავარაუდოდ, სტალინის რეჟიმის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში დეპორტირებული მესხების რეპატრიაციის ვალდებულება იგულისხმა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ აიღო. 7 რესპონდენტს კი ამ შეკითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.

დიაგრამა 10. ვინ გვავალდებულებს მიგრანტების მიღებას?



მიგრანტებთან მიმართებით შემდეგი დამოკიდებულებები გამოიკვეთა:

1. ქართველების ევროპაში ემიგრაცია მისაღებია, თუმცა აზიელები საქართველოში არ უნდა ჩამოდიოდნენ.
2. მიგრანტების მიღება ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობაა.
3. მიგრანტები უფრო დაფასებულები არიან, ვიდრე ქართველები.
4. ქართული მიწის გასხვისება დაუშვებელია.
5. ქართულ იდენტობასთან მოდის წინააღმდეგობაში.

1. ქართველების ევროპაში ემიგრაცია მისაღებია, თუმცა აზიელები საქართველოში არ უნდა ჩამოდიოდნენ.	**ბიბლიოთეკარი, ქუთაისი (32 წლის, ქალი):** "15 წლიდან საყვარელო, მიგრაციაში გავატარე ცხოვრება და ძალიან კარგად ვიცი, რა არის მიგრაცია. დღემდე ჩემი ოჯახი მიგრაციაში ცხოვრობს და ეს არიან სამშობლოს კეთილდღეობისთვის და ოჯახებისთვის შეწირული ადამიანები... აი, ამდენი ჩინელი რომ არის, ჩვენ ვინ შეგვეკითხა მაგათ მოსვლას."
2. მიგრანტების მიღება ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობაა	**ხელოსანი, ზუგდიდი (36 წლის, კაცი)**: "თუ გვსურს ევროკავშირი და დასავლეთის ღირებულებები, უნდა მიიღო მიგრანტები, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია მიღება." **უმუშევარი, ოზურგეთი (59 წლის, ქალი)**: "თუკი ევროკავშირის წევრი იქნები და ნატოს წევრი ქვეყანა იქნები, მაშინ ვალდებულება გაქვს შენც შეიფარო მიგრანტები."
3. მიგრანტები უფრო დაფასებულები არიან ვიდრე ქართველები	**ექთანი, ოზურგეთი (68 წლის, ქალი)**: "ჯერ საქართველოს ხალხს მოუარონ და მიგრანტები მერე მიიღონ. იმათ რომ ყველანაირ პირობას უქმნიან… იმ მიგრანტს მეტი დაფასება აქვს შენს ქვეყანაში, ვიდრე თვითონ საქართველოს მოქალაქეს… ერთმა ქალმა, ინდოელი იყო თუ არაბი, 4 კაცი გალახა, დაიჭირეს ეს ქალი, ოთხი შვილის დედა და მიუსაჯეს ციხე, რისთვის? იმიტომ რომ თავი დაიცვა და ისინი გალახა. გასალახი იყო.
4. ქართული მიწის გასხვისება დაუშვებელია	**მასწავლებელი, ქუთაისი (59 წლის, ქალი):** "ვღებულობთ ხო, ე.ი. სახელმწიფო უშვებს, რომ მივიღოთ ის ხალხი და მე მგონი, არ არის მართალი, არ შეიძლება ქართული მიწა ვიღაცას მივცეთ, გინდ ფულად, გინდ უფულოდ."
5. ქართულ იდენტობასთან მოდის წინააღმდეგობაში	**უმუშევარი, ქუთაისი (62 წლის, კაცი):** "ჩვენ სხვა მენტალიტეტის ხალხი ვართ, ჩვენ ჩოხის მატარებელი ხალხი ვართ, ჩვენ კავკასიელები ვართ, ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ქალბატონს, ქალბატონი დიდ პატივს სცემს მამაკაცს… თბილისში რუსთაველი, რაღაც სხვა ქუჩები, დაიკავეს არაბებმა, ირანელებმა, სპარსელებმა. გახსნეს სამიკიტნოები, არ მინდა კიდევ ვთქვა, კი, იცით, რა გახსნეს, როგორ იმას შვრებიან, აბა შენ მიდი და თუ დაგრთონ ნება?"

იმ რესპონდენტთა შორის, ვინც ფიქრობს, რომ მიგრანტების მიღებას დასავლეთი არ გვავალდებულებს, გამოიკვეთა აზრი, რომ როგორც საქართველოდან ხდება მიგრაცია, მსგავსს პროცესს საქართველოშიც აქვს ადგილი და ეს არ არის საერთაშორისო ან სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების შემადგენელი. ნაწილი ამბობდა, რომ თუ პირს ქვეყანაში ყოფნის ნებართვა აქვს, მისი შეზღუდვის უფლება არავის აქვს, ზოგიერთმა კი შრომითი მიგრანტების ეკონომიკაში წვლილს გაუსვა ხაზი.

> **მასწავლებელი, ზუგდიდი (33 წლის, ქალი)**: "თუ გლობალიზაციის ჭრილში განვიხილავთ, ისევე როგორც ქართველები არიან შეფარებული სხვა ქვეყნებს, ასევე უნდა მივიღოთ ჩვენც სხვა ქვეყნიდან მიგრანტები. ეს თავისთავადი პროცესია და არა ძალდატანებითი. თუ ჩაკეტა საზღვარი ქვეყანამ კონკრეტული ქვეყნისთვის, არ არის სწორი".
>
> **კერძო სექტორში დასაქმებული, ზუგდიდი (24 წლის, ქალი)**: "არავინ არ გვაძალებს მიგრანტების მიღებას საქართველოში. ვფიქრობ, რომ მათი ყოფნა საქართველოში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს."
>
> **უმუშევარი, მარნეული (78 წლის, კაცი):** "ვის შეუძლია გვაძალებდეს? ისინი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან. აქ მოსვლაზე თუ ნებართვა აქვს, შეუძლია მოვიდეს. ამაზე ვის რა შეუძლია თქვას?"

რესპონდენტებს დამატებით ვკითხეთ, თუ რა ვალდებულებებს აკისრებს დასავლეთი საქართველოს, რა დროსაც 28 რესპონდენტმა ადამიანის უფლებების გაუმჯობესება, დემოკრატიის განმტკიცება და სოფლის მეურნეობაში მაღალი სტანდარტები დაასახელა. ერთმა რესპონდენტმა ამ კონტექსტში კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში ევროკავშირის როლზეც გაამახვილა ყურადღება. თუმცა აქვე აღნიშნეს, რომ ამ საკითხებს ევროკავშირის მხრიდან სარეკომენდაციო და არა სავალდებულო ხასიათი აქვთ.

> **თვითდასაქმებული, ზუგდიდი (28 წლის, კაცი):** "დასავლეთი გვაძლევს უფრო დიდ ასპარეზს, რომ შევასრულოთ ვალდებულებები და ჩვენი კულტურული, სხვა ქვეყნებისგან განმასხვავებელი დეტალები კიდევ უკეთ გავაცნოთ მსოფლიოს და შევინარჩუნოთ თავდაპირველი ფორმით."
>
> **კერძო სექტორში დასაქმებული, ზუგდიდი (56 წლის, ქალი): "**დასავლეთი ბევრ ისეთ ვალდებულებას გვაკისრებს, რაც ისედაც უნდა გვქონოდა. თუნდაც საწარმოო პროდუქციის სტანდარტებთან მიმართებაში. ჩვენ ბევრ რამეში სტანდარტებს ვერ ვაკმაყოფილებთ. აი, მაგალითად ვფიქრობთ, რომ გავიტანოთ დაფნა (ან რძის ნაწარმი, თაფლი) ექსპორტზე ევროპაში. თუმცა, ალბათ, ქვეყნის მასშტაბით ესეთი ერთი საწარმო თუ იქნება, რომლის პროდუქციაც დააკმაყოფილებს სტანდარტს."
>
> **სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელი, მარნეული (24 წლის, კაცი):** "დასავლეთი ვალდებულებებს გვაკისრებს ქვეყნის განვითარებაზე, წინსვლაზე, დემოკრატიაზე გარკვეული შეთანხმებების საფუძველზე, მაგალითად, ასოცირების შეთანხმება, ასევე ეს არის ქვეყნის წინ ერთ-ერთი გეგმა, რომ განავითაროს საკუთარი თავი, ბოლოს და ბოლოს გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი."
>
> **კერძო კომპანიაში დასაქმებული, ოზურგეთი (34 წლის, ქალი)**: "გვაკისრებს, იმიტომ, რომ მასაც სჭირდება მის სამეზობლოში და სამეგობროში ჯანმრთელი და ხეირიანი გარემო და არა ყურით სათრევი და გაჭირვებული. "

მხოლოდ სამმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, ერთმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი იდენტობას გვართმევს, ასევე ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ დასავლეთი ოკუპირებული ტერიტორიების დათმობას გვავალდებულებს.

1. ებრძვის იდენტობას	**კერძო სექტორში დასაქმებული, ოზურგეთი (68 წლის, ქალი):** "ამ განათლების მხრივაც რომ ყველაფერს სპობენ. ქართული რომ იშლება და ქართულ ენას რომ შლიან, ესეც მთლად უბედურებაა. შენს ქვეყანაში, შენ რომ სახელი გქვია და პირველად რომ ინგლისურად დაგიწერენ და მერე ქართულად, ეს კაია?! შენი მეობა უნდა გქონდეს და მით უმეტეს, 14 დამწერლობა�ა მსოფლიოში და ერთ-ერთი ქართულია, რატომ უნდა იყოს დომინანტი უცხო ენა? ქართული უნდა იყოს საქართველოში."
2. თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას	**ხელოსანი, ქუთაისი (62 წლის, კაცი):** "ეს ლესბოსელები და ესენი რომ არიან, რომ არ გვაიძულებდნენ არც იქნებოდნენ ამდენი ჩვენთან, პარადის ჩატარება უნდათ." **კერძო სექტორში დასაქმებული, ზუგდიდი (41 წლის, კაცი)**: "მიმღებლობა საქართველოში სულ იყო და ამისკენ მოწოდება არის ღია კარის მტვრევა. მაგრამ არ უნდა მიყიჟინოს არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამინმა, რომ ეს არის ნორმალური და უნდა დაკანონდეს." **უმუშევარი, მარნეული (78 წლის, კაცი):** "ჩვენ კავკასიის ხალხი ვართ, არ ვართ ევროპელები… აი, ეს იგივესქესიანების დაქორწინება, ესეთი კანონები ჩვენთვის უცხოა."
3. ერევა სუვერენიტეტში	**თმის სტილისტი, მარნეული (26 წლის, კაცი):** "ამერიკის [ელჩის] მოადგილე მოსულა აქ და აკონტროლებს არჩევნებს. რატომ? საქართველომ თვითონ უნდა აკონტროლოს."
4. გვაიძულებს ოკუპირებული ტერიტორიების დათმობას	**ხელოსანი, ქუთაისი (40 წლის, კაცი):** "იყო ასეთი საუბარიც, რომ თუ გინდა დამოუკიდებელი იყო და მე დაგიცვა შენ, ის ტერიტორიები რაც არის ოკუპირებული, აღიარე, რომ იმის არის, იმიტომ რომ ომი არ აწყობს. შენ რომ დაგიცვას, გარკვეული უნდა იყოს ტერიტორიები, რომ ეს აფხაზეთის არის, ეს საქართველოს არის."

2.4. სოციალურ-ეკონომიკური დაცულობა

იმის გასარკვევად, თუ რამდენად აქვთ მოქალაქეებს დღეს სოციალურ-ეკონომიკური დაცულობის განცდა, მათ ორი შეკითხვა დავუსვით:

1. საბჭოთა კავშირში უფრო დაცული იყო ადამიანი თუ დღეს?
2. ევროპული ბაზარი უფრო სარფიანია საქართველოსთვის თუ რუსული?

საბჭოთა კავშირის შესახებ პასუხები სოციალურ-ეკონომიკური დაცულობის თემატიკას გასცდა, რადგან რესპონდენტები მეტწილად გარე საფრთხეებისგან დაცულობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

ამ თემაზე შემდეგი ძირითადი გზავნილები გამოიკვეთა:

1. სსრკ-ში კანონი კანონობდა, დღეს კი ზედმეტი თავისუფლებაა;
2. სსრკ-ში ქვეყანა უსაფრთხოდ იყო, ომები არ იყო;
3. სსრკ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო დაცული იყო.

1. სსრკ-ში კანონი კანონობდა, დღეს კი ზედმეტი თავისუფლებაა	**სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული, ქუთაისი (33 წლის, ქალი):** "დაცული რა არის იცი, რაღაც ჩარჩოები არსებობდა... მაგრამ კანონი კანონობდა, აქ კიდევ თავის ნებაზეა ხალხი მიშვებული და ტაბუ არაფერს არ ადევს და რაღაცა უმართავი სიტუაციაა, არ ექვემდებარებიან კანონს ადამიანები და არც არავინ." **კერძო სექტორში დასაქმებული, ოზურგეთი (48 წლის, ქალი)**: "ყველაფერი იყო მაშინაც დანაშაულიც, ქიშპობაც მაგრამ არ ამჟღავნებდა ტელევიზიით არ გამოდიოდა და რავიცი, რა... მაშინ უფრო იყო [დაცული], რატო იცი? მაინც რაღაც შიში ჰქონდათ უფრო." **მეწარმე, ოზურგეთი (47 წლის, კაცი):** "ყველა ადამიანმა იცოდა, რომ მეორე ადამიანს თუ დაუშავებდა, იმისთვის დაისჯებოდა. დღეს ძაან დიდია დაუსჯელობის სინდრომი."
2. სსრკ-ში ქვეყანა უსაფრთხოდ იყო, ომები არ იყო	**სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული, ოზურგეთი (65 წლის, ქალი):** "დღეს დღვანდელ პერიოდში ბევრი ომები მოხდა საქართველოში, აგვისტოს ომი, აფხაზეთის ომი, რომელსაც ძალიან ბევრი ქართველი შეეწირა... აი, ეს ომები დაუჯდა, და ბევრი დაღუპული ჯარისკაცი... ეს საქართველოს მსხვერპლი იყო, ფიზიკურ დაცულობაზე იყო საუბარი." **ხელოსანი, ქუთაისი (40 წლის, კაცი)**: "ვითომ დამოუკიდებელი ვართ, სინამდვილეში სიტყვაზე აქედან სომეხი გჭამს, იქიდან თათარი გჭამს, იქიდან რუსი გჭამს და ეს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ვერაა, არ კი არა ვერ ქვია." **უმუშევარი, ოზურგეთი (59 წლის, ქალი)**: "მე როგორც საბჭოთა კავშირის დროინდელი პიროვნება, იმდენად ასეთი ომები მაშინ საქართველოს ნამდვილად არ შეხებია, უფრო დაცული იყო ქვეყანა, ახლა უკვე ცოტა გვიჭირს." **მასწავლებელი, მარნეული (44 წლის, კაცი):** "ნაციონალზმის საკითხი არ იყო. კარგად ცხოვრობდნენ ანუ, რა თქმა უნდა, საბჭოთა პერიოდში მშვიდობა იყო."
3. სსრკ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო დაცული იყო	**ექთანი, ოზურგეთი (68 წლის, ქალი):** "ადამიანი, პირველ რიგში, უნდა იყოს ყველაფრისგან დაცული და ყველაფრით უზრუნველყოფილი - არ უნდა შიოდეს, არ უნდა სწყუროდეს და ხელი სამათხოვროდ არ უნდა ჰქონდეს გაშვერილი ქართველ ადამიანს. მათხოვარი ბუნკერებში არ უნდა ეძებდეს საჭმელს და იმითი არ უნდა იკვებებოდეს. **საბჭოთა კავშირის დროს ვცხოვრობდი მე და მათხოვარი არ მინახავს**."

ის რესპონდენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ადამიანის უთანასწორობასა და უფლებების ხელყოფაზე ამახვილებდნენ ყურადღებას და საბჭოთა კავშირის მიმართ კრიტიკულები იყვნენ, მეტწილად უფროსი ასაკობრივი ჯგუფებიდან იყვნენ. ახალგაზრდა რესპონდენტები კი ყურადღებას ახალ შესაძლებლობებზე, ინფორმაციის და აღმსარებლობის თავისუფლებაზე ამახვილებდნენ.

1. სსრკ-ში ადამიანის უფლებები დაცული არ იყო	**ხელოსანი, ზუგდიდი (57 წლის, კაცი):** "საბჭოთა კავშირში ადამიანი საერთოდ არ იყო დაცული. მის სიცოცხლეს ფასიც არ ჰქონდა. დახვრეტაც კი შესაძლებელია, ფორმალურად მომხდარიყო, მას არ გააჩნდა საკუთრების უფლება და შეზღუდული ჰქონდა სხვა უფლებებიც. ასე რომ, მგონია, რომ დღეს უფრო აქვს ადამიანს უფლებები და უფრო მეტად არის დაცული." **კერძო სექტორში დასაქმებული, ზუგდიდი (56 წლის, ქალი):** "სიტყვის თავისუფლების მხრივ და ზოგადად უფლებები დღეს უფრო დაცულია. საბჭოთა კავშირის დროს ადამიანი იჯდა ჩარჩოში და სხვაგან გახედვის უფლებაც კი არ ჰქონდა, თუ გაიხედავდა დაისჯებოდა აუცილებლად."
2. დღეს მეტი შესაძლებლობები/თავისუფლებაა, ვიდრე სსრკ-ს დროს	**თვითდასაქმებული, ზუგდიდი (56 წლის, ქალი):** "საბჭოთა კავშირის დროს სულ სხვა ცხოვრება იყო. ჩაკეტილები ვიყავით და სხვა ქვეყნებში ვერ გავდიოდით. დღეს უფრო თავისუფლება მიეცა ხალხს და მგონია, რომ დღეს უფრო დაცულია ადამიანი." **ბიბლიოთეკარი, ქუთაისი (32 წლის, ქალი):** "შესაძლებლობები გაცილებით ბევრია… ყველანაირი ალტერნატივა შესაძლებელი გვაქვს დღეს და ასეთი შესაძლებლობები ნამდვილად არ იყო საბჭოთა კავშირის დროს." **უმუშევარი, ქუთაისი (22 წლის, ქალი)**: "უფრო მეტი თავისუფლება გვაქვს, მაგალითად, წითელ კვერცხს ვღებავთ, ყველაზე მარტივი მაგალითი, ეკლესიაში შევდივართ." **უმუშევარი, ზუგდიდი (19 წლის, ქალი)**: "ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება შეუძლია დღეს ადამიანს, დემოკრატიული გარემო დღეს უფროა, ცნობიერებაც მაღალია ვიდრე ადრე, ანუ საბჭოთა კავშირის დროს."

კითხვაზე ქართველი გლეხისთვის რომელი ბაზარია უფრო მომგებიანი, რესპონდენტთა უმრავლესობამ (38) ევროპული ბაზარი უფრო სარფიანად მიიჩნია. უმეტესობა, ვინც რუსული ბაზრის უპირატესობაზე ამახვილებდა ყურადღებას (32), მარნეულიდან იყო (14).
რუსული და ევროპული ბაზრის შედარების დროს, ისინი, ვინც უპირატესობას რუსულ ბაზარს ანიჭებდნენ, ძირითადად, ორ მიზეზს ასახელებდნენ:

1. ევროპა და ამერიკა შორსაა, რუსული ბაზარი ახლოა და ნაცნობია;
2. რუსული ბაზარი უფრო მარტივია.

1. ევროპა და ამერიკა შორსაა, რუსული ბაზარი ახლოა და ნაცნობია	**ექთანი, ოზურგეთი (68 წლის, ქალი):** "მტერი კია, მაგრამ სანამ შენ ევროპაში წაიღებ, რამდენი ინსტანცია გაქვს გასავლელი?! შენს მეზობელთან უფრო ახლოს არ მიიტან ამას? მე მეზობელს უფრო მალე არ მივყიდი კიტრია თუ რაღაც?! შენთან ჩამოტანას, ის მირჩევნია, იმას მივცე." **რესტორნის მეპატრონე, მარნეული (50 წლის, კაცი):** "ევროპაში გადასასვლელად ერთ ადამიანს სამი ათასი, ოთხი ათასი, ხუთი ათასი ლარი სჭირდება. რუსეთში გადასასვლელად კი უნდა 50 ლარი. ჩაჯექი ერთ ტაქსში, იმგზავრე, ცხინვალი, რომ გაცდი, რუსეთში ხარ." **უმუშევარი, ზუგდიდი (59 წლის, ქალი):** "ენის ცოდნა და ბაზარზე არსებული გამოცდილება უფრო აადვილებს ჩვენგან საქონლის რუსულ ბაზარზე გატანას."

2. რუსული ბაზარი უფრო მარტივია.	**თვითდასაქმებული, ქუთაისი (71 წლის, კაცი):** "[რუსულ ბაზარზე] იოლად შევდივართ, ჩვენი პროდუქციით ევროპაში ვერ შევალთ, არ არის დახვეწილი, არც ვიზუალურად, არ არის. რუსეთი რადგანაც შედარებით დღეს არ არის განვითარებული ქვეყანა, ჩვენი განუვითარებელი პროდუქცია შეიძლება შევიტანოთ." **უმუშევარი, ზუგდიდი (38 წლის, ქალი):** "ევროპულ ბაზარს მეტი მოთხოვნები აქვს და ამ მოთხოვნებს გლეხის მიერ წარმოებული პროდუქცია ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ დღეს გლეხისთვის სარფიანი რუსული ბაზარია. დღეს უფრო მარტივი მათთვის რუსეთის ბაზრის ათვისებაა."

ის რესპონდენტები კი, რომლებიც ევროპული ბაზრის უპირატესობაზე საუბრობდნენ, რამდენიმე გარემოებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას:

1. რუსულ ბაზარზე დამოკიდებულებამ ქართული პროდუქტის ხარისხი გააფუჭა;
2. ევროპული ბაზარი განვითარების შესაძლებლობაა;
3. ევროპული ბაზარი ფინანსურად უფრო მომგებიანია;
4. რუსეთი სანდო პარტნიორი არ არის.

1. რუსულ ბაზარზე დამოკიდებულებამ ქართული პროდუქტის ხარისხი გააფუჭა;	**მასწავლებელი, ქუთაისი (53 წლის, ქალი):** "ჩვენი ღვინო ფალსიფიცირებული, ჩვენი ჩაი ფალსიფიცირებული გახდა იმის გამო, რომ რუსეთი ღებულობდა ყველანაირ პროდუქტს და იქ [ევროპაში] უფრო ხარისხზეა ორიენტირებული.
2. ევროპული ბაზარი განვითარების შესაძლებლობაა	**ხელოსანი, ზუგდიდი (36 წლის, კაცი):** "ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილება აიძულებს გლეხს განვითარდეს და დახვეწოს საკუთარი პროდუქტი." **სტუდენტი, ზუგდიდი (20 წლის, ქალი):** "არსებობს სტანდარტები, რომლის დაცვაც გვიწევს და ეს აყალიბებს განსხვავებულ ღირებულებას ჩვენში, რომ ვაწარმოოთ ხარისხიანი პროდუქცია." **კერძო სექტორში დასაქმებული, ზუგდიდი (31 წლის, ქალი):** "რუსეთი ნაგავს ასაღებს და ევროპას კი ნაგავი არ სჭირდება. შესაბამისად ნაგვის წარმოებით არის რეგრესი, ხოლო განვითარება მოაქვს სტანდარტებსა და ცივილიზებულ მიდგომებს."
3. ევროპული ბაზარი ფინანსურად უფრო მომგებიანია	**საჯარო სამსახურის თანამშრომელი, ზუგდიდი (32 წლის, კაცი):** "რაოდენობრივადაც კი ევროპის ბაზრის შემთხვევაში 800 მილიონიან ბაზარზეა საუბარი, როცა რუსეთი მხოლოდ 150 მილიონიანია." **თვითდასაქმებული, ზუგდიდი (28 წლის, კაცი):** "ჩვენი მეწარმეებისთვის ევროპული ბაზარი უფრო დიდი ბაზარია და უფრო მომგებიანია."
4. რუსეთი სანდო პარტნიორი არ არის	**მასწავლებელი, ზუგდიდი (60 წლის, ქალი):** "რუსეთთან არ გვაქვს სანდო მოლაპარაკებები სავაჭრო მიმართულებით და სწორედ ამიტომ ჯობია ევროპული ბაზარი."

რესპონდენტთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა იმ საინფორმაციო ქაოსზე და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციაზე, რომელიც კორონავირუსის შესახებ ვრცელდებოდა. ისინი ამბობდნენ, რომ გადაუმოწმებელი ინფორმაციის ეს ნაკადი მოსახლეობაში დაბნეულობას იწვევდა.

> **ექთანი, ოზურგეთი (68 წლის, ქალი)**: "ერთ არხზე რომ ერთს აცხადებენ, მეორეზე მეორეს და ტვინი გადაბრუნებული აქვს ხალხს. ამ არხის მაყურებელი სხვანაირად ლაპარაკობს მეორეს სხვანაირად და ერთმანეთს ეჯახება… რომელ ერთს უნდა დავუჯეროთ?! ერთი რომ გეტყვის შავი და მეორე გეტყვის თეთრია, რომელია სწორი?! მე რომ გლეხი ვარ და ტელევიზორს ვარ მიჩერებული და რომელს დავუჯერო?"

კორონავირუსის შესახებ გავრცელებული დეზინფორმაციის მაგალითად 4-მა რესპონდენტმა მთავარ არხზე გასული სიუჟეტიც გაიხსენა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მთავრობა გარდაცვალების მიზეზად კორონავირუსის ჩაწერისთვის მარნეულში მოსახლეობას 10 000 ლარს უხდიდა.

რესპონდენტები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ კორონავირუსთან დაკავშირებული ყალბი ინფორმაციის სიხშირეს და ამბობდნენ, რომ თავად ან საერთოდ თავს იკავებდნენ ინფორმაციის გაზიარებისგან ან მხოლოდ ოფიციალურ წყაროებს ენდობოდნენ.

რესპონდენტები ემოციურ ფონზეც საუბრობდნენ და ამბობდნენ, რომ მგრძნობიარე საკითხებზე ყალბი ინფორმაცია თავადაც გაუზიარებიათ.

> **სტუდენტი, ზუგდიდი (20 წლის, ქალი):** "მაქსიმალურად ვცდილობდი თავი შემეკავებინა. იმ ინფორმაციას, რომლის მართებულობაში დარწმუნებული არ ვიყავი, არ ვაზიარებდი ხოლმე."
>
> **კერძო სექტორში დასაქმებული, ზუგდიდი (56 წლის, ქალი)**: "პანდემიის პერიოდში სიფრთხილით ვუდგებდი ინფორმაციებს და მათი გაზიარების საკითხს. ვცდილობდი გამეზიარებინა ის ინფორმაციები, რაც ოფიციალურ გვერდებზე ვრცელდებოდა."
>
> **იუსტიციის სახლის თანამშრომელი, მარნეული (28 წლის, კაცი):** არ ვაკვირდებოდი სიღრმისეულად და ემოციურად. ემოციებიდან გამომდინარე, რაღაცები მეც მაქვს გაზიარებული, მაგრამ შემდეგ უფრო ვრცლად იძიებ ინფორმაციას და ნახავ, რომ ეგ სინამდვილეს არ ეხება."
>
> **კერძო სექტორში დასაქმებული, ზუგდიდი (41 წლის, ქალი)**: "მეცნიერებსაც არა აქვთ სრული სურათი ვირუსზე, რადგან არ არის გამოკვლეული და ცხადია, საზოგადოებაში არსებული თავისებური შეხედულებების შედეგად თავისთავად ჩნდება მსგავსი სახის ყალბი ინფორმაცია."
>
> **მასწავლებელი, მარნეული (28 წლის, კაცი):** "შესაბამის ტრენინგს, სემინარებს ვესწრებოდი და ისაა, საკმარისად ინფორმირებული ვარ ყალბი ინფორმაციები როგორ ვრცელდება და მათ წინააღმდეგ როგორ უნდა ვიბრძოლოთ, რომ ის არ გავრცელდეს და არასწორი, ყალბი ინფორმაციები არ მივიღოთ. ამიტომაც ფრთხილად ვარ, როცა ინფორმაციას ვიღებ და ვავრცელებ."

სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული, ოზურგეთი (65 წლის, ქალი): "მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ყალბი ინფორმაციები რეალურისგან გავარჩიო და არ მსიამოვნებს, რომ ყალბი ინფორმაციები ვინმეს მივაწოდო."

რესპონდენტები ყალბი ინფორმაციის უკან ყველაზე ხშირად პოლიტიკურ მიზნებსა და ეკონომიკურ სარგებელს ხედავდნენ. ერთმა რესპონდენტმა ყალბი ინფორმაციის გავრცელების მიზეზად კომპეტენციის ნაკლებობაც დაასახელა.

უმუშევარი, ზუგდიდი (19 წლის, ქალი): "ამ ინფორმაციის გამავრცელებელი კონკრეტული ადამიანები რათქმაუნდა არ ვიცი. თუმცა ალბათ მიზანი იქნებოდა ხალხის უფრო მეტად დაშინება."

თმის სტილისტი, მარნეული (28 წლის, კაცი): "თავიანთი საიტების ასამაღლებლად ასეთ ამბებს ავრცელებენ, რომ მეტი ნახვა ჰქონდეთ."

მეწარმე, ოზურგეთი (47 წლის, კაცი): "საიდან ვრცელდება და ალბათ განათლება რომ არ ჰყოფნით იმ სფეროში, რომ არ არიან კომპეტენტური და ისინი აკეთებენ ანალიზს ამა თუ იმ საკითხზე, აქედან ვრცელდება."

უმუშევარი, ქუთაისი (48 წლის, კაცი): "პოლიტიკური მიზნებითაა, ყველა ამბობს თავისი პოლიტიკური შეხედულებით და დისკრიმინაცია უნდათ ალბათ ერთი მეორესი."